

ଶ୍ରୀକୃତ୍ୟାମା
ବ୍ୟାଗବିଲାଙ୍ଘନ
ପଦାଳପାଦ
ଅଧ୍ୟେତ୍ୱା

K-342
2



ପ୍ରକାଶନ

ପତ୍ରପତ୍ରମାଳା ପତ୍ରପତ୍ରମାଳା ପତ୍ରପତ୍ରମାଳା ପତ୍ରପତ୍ରମାଳା

କୋଣାର୍କ ପାତା
ପାତାପାତାପାତା
ପାତାପାତାପାତା
ପାତାପାତାପାତା

୩୪୨
୨

ପାତାପାତାପାତା



ପାତାପାତା

ପାତାପାତାପାତା ପାତାପାତାପାତା

୧୯୦୬


-୧୪

ପାତାପାତାପାତା

Wor~~т~~нгс



Дозвол. Ценз. Тифлисъ, 3 февраля 1906 г.



ტექნიკის
მუზეუმის
მუზეუმის
მუზეუმის

სახელმწიფო მუზეუმის
პირითაღი მიზანები

ამ პატარა წიგნაკში მიზნათ მაქვს აღვნიშნო
ის ძირითადი მიზეზები, რომლებზედაც დამოკიდე-
ბულია სახელმწიფო წყობილების ფორმა საზოგა-
დოებაში; ამის შესახებ ბევრი ყალბი და სრულიათ
უსაფუძვლო აზრი ტრიალებს, რომელიც ოდნავაც
არ შეეფერება თანამედროვე მეცნიერულ შეხედუ-
ლებას ამ სავანზე. წინდაწინვე უნდა ვთქვა, რომ
ჩემი წერილი წმინდა მეცნიერული შინაარსის იქნე-
ბა, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ანუ უკეთ რომ
ვთქვათ, სწორეთ ამიტომ თვითეულ მკითხველს შე-
ეძლება თავიდან ბოლომდი გაყვეს მის ძაფს და სავ-
სებით გაიგოს ის.

კეშარიტი მეცნიერება — მეტი არ იქნება მოქ-
ლეთ გავიხსენოთ ეს, — მდგომარეობს იმაში, რომ
ყოველი აზრი იქნეს ნათელი და დასაბუთებული,
რომ არათერს წინდაწინვე მიღებულათ არ თვლი-
დეს და ყველა დასკვნები ძაფივით გამოყავდეს ერ-
თი მეორიდან, როგორც თავისთვათ გამომდინარე,
და სწორეთ ამიტომ ის დაუძლეველი ძლიერებით
დაიპყრობს მკითხველის აზრს და გონებას და დაე-
პატრონება მათ.

რომ აზრი ნათელი და ცხადი შეიქმნეს მკით-
ხველებისათვის საჭირო არ არის რაიმე წინდაწინვე
კეშარიტებით მიღებული აზრის ქონება. პირიქით

ის თხოულობს, რომ როგორც ზევით ვთქვი, ყველაფერი წინათ მიღებული და აქსიომასავით ჭეშმარიტებათ აღიარებული უკუგდებულ იქმნეს; ნათელ აზრს ყველაფერი ერთი მეორიდან გამოჰყავს და არ ითმენს არავითარ წინდაწინვე შედგენილ შეხედულებებს. ის თხოულობს, რომ მკითხველებმა არ მოიტანონ არც ერთი წინათ შედგენილი აზრი, არც ერთი წინათ შედგენილი შეხედულება.

რაც უნდა ბევრი გქონდეს ნაფიქრი და ნამსჯელები საკვლევ საგნის შესახებ, მაინც ხელახლა უნდა შეუდგე იმის გამოკვლევას, თითქოს არავითარი გარკვეული აზრი და შეხედულობა არ გქონდეს ჯერ მაზე შედგენილი. კვლევის დროს მაინც უნდა უკუაგდო ყოველი ძველი შეხედულებები, რომელსაც შეჩვეული ხართ და ამიტომ შეიძლება ჭეშმარიტებათ გეჩვენებოდეს.

ამნაირათ მე ვსვამ კითხვას: რა არის კონსტიტუცია? რაში მდგომარეობს მისი შინაარსი?

რიურაჟიდან მოკიდებული საღამომდე, ახლა ყველა კონსტიტუციაზე ლაპარაკობს. ყველა გაზეთებში, საზოგადოებებში, ტრაქტირებში, მდიდარ და ლარიბ უბნებში, ყველგან ერთი ლაპარაკი ისმის, ყველგან ერთი საგანი აინტერესებთ — კონსტიტუცია. მარა მათ რომ სერიოზულათ დაუსვა კითხვა: რა არის კონსტიტუცია, რა ცნებაა ეს ცნება? ეჭვი არაა ამ მოლაპარაკეთაგან ბევრი არ გამოჩენდება ისეთი, რომ რიგიანი პასუხის მოცემა შეიძლოს.

ბევრი მათგანი ამ კითხვის გაგონებისთანავე,

რომელიმე, მაგ. პრუსიის, კანონთა კრებულს (1850 წლ. გამოსულს) წაავლებენ ხელს, რომ იქიდან გაეცნონ პრუსიის კონსტიტუციას. მაგრამ ჩვენ ახლავე დავინახავთ, რომ ეს ჩემი კითხვის პასუხი არაა ამ კრებულში, რომ მხოლოდ განსაზღვრული შინაარსია მოყვანილი განსაკუთრებული კონსტიტუციის, სახელდობრ პრუსიის სახელმწიფოსი და მფრი არაფერი. მაშასადამც, მას არ შეუძლია პასუხი მოვაცეს და აგვიხსნას, რაში მდგომარეობს კონსტიტუციის არსებითი შინაარსი საზოგადოთ და რა კრებაა ეს ცნება საზოგადოთ.

ეს კითხვა რომ იურისტს (კანონის მცოდნეს) დაუსეა, დაახლოვებით ასეთ პასუხს მიიღებ მისგან: „კონსტიტუცია არის ფიცით დადებული ხელშეკრულობა მეფესა და ხალხის შუა, რომელიც შეიცავს ქვეყნის მართვა-გამგეობის და კანონმდებლობის ძირითად პრინციპებს.“ ან და რაღან რესპუბლიკანური კონსტიტუციებიც არსებობენ, ის უფრო ზოგად განსაზღვრას მისცემს ამ საგანს და იტყვის: „კონსტიტუცია ის ძირითადი კანონია, რომელიმე მხარეში მიღებული, რომელიც წარმოადგენს საფუძველს საზოგადოებრივ უფლების ორგანიზაციისას ამა თუ იმ ერში.“ მარა ყველა ასეთი ფორმალური, ურიდიული განსაზღვრანი—იმდენათვე დაშორებული არიან დასმულ საკითხის ნამდვილ პასუხზე, როგორც წინანდელი. ყოველი ასეთი განსაზღვრა მხოლოდ გარეგან აწერილობას გვაძლევს, გვაძლევენ იმასაც თუ როგორ მუშავდე-

გა კონსტიტუცია და რას მოქმედებს ის. მარა ის სრულიადაც არ არკვევს იმას, თუ რაში მდგომარეობს კონსტიტუციის შინაარსი, მისი ძირითადი თვისებები, ისინი გვაძლევენ მხოლოდ საზომს (კრიტერიუმს) ნიშნებს, რომელთა შემწეობით გარეგნული იურიდიული მხრით შეიძლება ამა თუ იმ კონსტიტუციის გამოცნობა. მარა ისინი არ გვეუბნებიან, რა არის ეს მცნება, და რა არის არსებითი მხარე კონსტიტუციის. ამიტომ ჩვენთვის სრულიად გამოუცნობელი და გაუგებარი რჩება ასეთი კითხვები: კარგია თუ ცუდი კონსტიტუცია, შესაძლებელია ის თუ არაა შესაძლებელი, მტკიცე და ნიაღაგიანია, თუ არაა მტკიცე ნიაღაგზე აგებული. ყველა ამ კითხვებზე მხოლოდ მაშინ შეგვიძლია მსჯელობა, როცა ვიცით, რაში მდგომარეობს საზოგადო კონსტიტუციის არსებითი მხარე. მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ჩვენ გადავწყვიტოთ, შეფერება ესა თუ ის კონსტიტუცია თავის ნამდვილ შინაარსს, თუ არა, და ან როგორი დამოკიდებულებაა მათ შორის. მაგრამ ამ შინაარსის არსებით ახსნას ვერ ვპოვებთ ჩვენ ასეთ გარეგნულ, იურიდიულ განსაზღვრებში, რომელნიც თანასწორათ შეესაბამებიან ყველა დაწერილ ფურცელს, როგორიც უნდა იყოს მისი შინაარსი, თუ კი ის მფრისა და ხალხისგან იქნება ზელმოწერილი და კონსტიტუციათ წოდებული. მხოლოდ კონსტიტუციის ცნება შეადგენს კონსტიტუციონურ ხელობრებისა და კონსტიტუციონურ სიბრძნის ნამდვილ საფუძ-

ველს და წყაროს. ამნაირათ მე ხელახლა ვსვამ კითხვას: რა არის კონსტიტუცია, რაში მდგომარეობს მისი შინაარსი, რა აზრი აქვს ამ ცნებას?

ჩვენ ჯერ არ ვიცით ეს და უნდა მოვძებნოთ ამის პასუხი: მაში მოვძებნოთ ის საერთო ძალით. ჩვენი მიზნის მისაღწევათ უნდა მივმართოთ იმ მეტოდს, (კვლევა ძიების წესს), რომელსაც ყოველთვის უნდა მიმართო, თუ გინდა რომელიმე საგანზე ნათელი აზრის შემუშავება. ეს კვლევის წესი სრულიად უბრალოა, ბატონებო. ის მდგომარეობს იმაში, რომ ვიღებთ საგანს, რომლის შესწავლაც გვინდა, ვადარებთ მას მეორე მისგვარ საგანთან, და ვცდილობთ რაც შეიძლება ნათლათ და სისწორით გავიგოთ, თუ რითი განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან. აი ჩემი მეტოდი კვლევისა

ახლა მე ვსვამ კითხვას: რა განსხვავებაა კანონსა და კონსტიტუციას შორის?

კონსტიტუცია და კანონი, ცხადია, არსებიობად ერთგვარი არიან. კონსტიტუციას უნდა უსათუოთ ქონდეს კანონის ძალა, ე. ი. კანონათ უნდა იყოს მიღებული. მარა ის არა თუ უნდა იყოს კანონათ ცნობილი, არამედ უნდა იყოს უფრო მეტი, ვინემ კანონია. აი აქ იწყება განსხვავება მათ შორის. ათასი ფაქტები ამტკიცებენ, რომ განსხვავება მართლაც არსებობს, რომ კონსტიტუცია არ არის უბრალო კანონი, არამედ მეტია, ვინემ კანონი. მაგ. თქვენ არათერ ცუდს არ ხედავთ იმაში, რომ ყოველ წლიურათ გამოდის ახალი კანონები. პირიქით

თქვენ იცით, რომ აუცილებელ საჭიროებას შეადგენს თითქმის ყოველ წლიურაო ცოტა თუ ბევრი ახალი კანონები გამოიცეს. მარა კარგათ იცით აგრეთვე, რომ არც ერთი ახალი კანონის გამოცემა არ შეიძლება ისე; რომ არსებული კანონიერი ურთიერთობა არ დაირღვეს. ისეთი ახალი კანონის გამოცემა, რომელიც არავითარ ცვლილებას არ შეიტანს დაკანონებულ არსებულ წყობილებაში, სრული უაზრობა იქნებოდა, და ასეთ კანონს არც ერთი ჭირობითა მყოფელი კაცი არ გამოსცემს. ამნაირათ თქვენ არაფერ ცუდს არ ხედავთ იმაში, რომ კანონები იცვლება, პირიქით თქვენ თვლით ამას, საზოგადოთ, სამმართველო დაწესებულებების ნორმალურ ფუნქციათ. მარა, თუ ვინმე თვითონ კონსტიტუციას შეეხო, თქვენ გაბრაზებული გაჰქიცით: ეს კონსტიტუციის ხელის შეხებააო. საიდგან წარმოსდგა ასეთი განსხვავება? ეს განსხვავება იმდენათ თვალსაჩინოა, რომ ზოგიერთ ქვეყნებში პირდაპირ დადგენილია კანონმდებლობისვან: კონსტიტუციის შეცვლა ყოვლად შეუძლებელიაო. ზოგიერთში დადგენილია, რომ მისი შეცვლა მხოლოთ კანონმდებელ კრების ხმათა ორ მესამედს შეუძლია და არა უბრალო უმრავლესობასო. მესამეგან დადგენილია, რომ არც საკანონმდებლო კრებას და არც სხვა სახელმწიფო დაწესებულებებს არ შეუძლია კონსტიტუციის შეცვლაო. და თუ ასეთი შეცვლა საჭიროა, მაშინ ხალხმა სპეციალურათ ამისთვის უნდა აირჩიოს წარმომადგენლების ახალი კრება და

მას მიანდოს ამ კითხვის გადაწყვეტა.

ეს ფაქტები ნათლათ გვიჩვენებენ ყველა წალხების სახოგადო წარმოდგენას კანსტიტუციაზე. ის რაღაც უფრო წმინდაა, მკვიდრი და შეუცვლელი, ვინემ ჩვეულებრივი კანონი.

ვუბრუნდები ისევ თავის წინანდელ კითხვას: რითი განსხვავდება კონსტიტუცია ჩვეულებრივი კანონისაგან? ამ კითხვაზე ჩვეულებრივათ ასეთ პასუხს იძლევიან: კანსტიტუცია არის არა უბრალო კანონი, როგორც ყველა სხვა, არამედ ძირითადი კანონი სახელმწიფოსი. აღვილათ შესაძლებელია, რომ ამ პასუხში ბუნდოვანათ გამოხატული იყოს სრული სიმართლე. მარა ეს ფორმა იმდენათ გამოურკვეველია, რომ ამ სახის პასუხი ჩვენთვის არაფერში გამოსაზევი არაა, რადგან ასეთ პასუხს მაშინვე ახალი კითხვა მოყვება: აბა, რა განსხვავებაა სხვა კანონს და ძირითად კანონ შორის? ცხადია, ჩვენ ერთი ნაბიჯიც კი არ გადავვიდგამს წინ კითხვის გადაჭრისაკენ. დაგვრჩა მწოლოთ ახალი სახელი: „ძირითადი კანონი“. მაგრამ ის არაფერს არ დაგვეხმარება, სანამ არ ვიცით რა განსხვავებაა ძირითად კანონსა და სხვა კანონებ შორის.

ვეცადოთ ახლა იშის გამორკვევას, თუ რა წარმოდგენებს შეიცავენ წოდება „ძირითადი კანონი“, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: რითი უნდა განიჩეოდეს ძირითადი კანონი სხვა კანონებისაგან, რომ გაამართლოს თავის სახელ-წოდება „ძირითადი კანონი“. იქნება ამან მიგვაახლოვოს ჩვენს მიზანს.

ძირითადი კანონი უნდა იყოს: 1) უფრო ღრმა, ვინემ ჩვეულებრივი კანონი; ამას გვიჩვენებს ჩვენი სახელწოდება „ძირითადი“. მარა ამასთანავე, როგორც ძირითადი კანონი ის უნდა იყოს 2) სწორეთ საფუძველი დანარჩენ კანონების, ეს იმას ნიშნავს, რომ ის უნდა იხატებოდეს ყველა სხვა კანონებში, რადგან ის მათ საფუძველს შეადგენს. მაშასადამე ძირითადი კანონის ძალა უნდა მოქმედებდეს ყველა სხვა ჩვეულებრივ კანონებში. 3) მარა ის, რასაც აქვს საფუძველი, არ შეიძლება იყოს, როგორც მოხდება, ხან ასეთი, ხან ისეთი. ის უნდა იყოს უსათუოთ ისეთი, როგორიც არის. საფუძვლიანობის ნიადაგზე ყოველგვარი ცვლილებები ვერ აღმოცენდება. მძღლოდ ის, რაც საფუძველს მოკლებულია, რაც შემთხვევითია, შეიძლება იქნას როგორც თავისნაირი, ისე სხვანაირი. ყველა ის, რასაც საფუძველი აქვს, პირიქით აუცილებლობის გამო არის ისეთი, როგორსაც ხედავ. აი მაგ. პლანეტების (ცის სხეულების, ვარსკვლავების და სხვ.) მოძრაობას განსაზღვრული მიმართულება აქვს. ამ მოძრაობას ან უნდა ქონდეს რაიმე ძირითადი მიზეზები, ან ყოველ საფუძველს მოკლებული უნდა იყოს. უკანასკნელ შემთხვევაში, ე. ი. თუ ის ყოველ საფუძველს მოკლებულია, ის შემთხვევითია, და ყოველ წუთს შეძლება შეიცვალოს და სხვა გზას დაადგეს. მაგრამ თუ მას თავის საფუძველი აქვს, — ბუნების მეტყველთა სიტყვით ასეთ საფუძველს მზის მიმზიდველობითი ძალა შეადგენს — ეს იმას ნიშნავს, რომ მზის

შიმზიდველობითი ძალა, როგორც საფუძველი, გან-
საზღვრავს და ოწესიერებს ამ მოძრაობას. ასე რომ
მას არ შეუძლია სხვანაირი იყვეს, ვინემ არის. მა-
შასადამე „ძირითადის“ წარმოდგენაში უკვე ჩასახუ-
ლია ის აზრი, რომ მომქმედი აუცილებლობის კანო-
ნი, მომქმედი ძალა უსათუოთ ხდის საგანს ისეთად,
როგორიც ის არის სინამდვილეში.

ამნაირათ, თუ კონსტიტუცია სახელმწიფოს
ძირითად კანონს წარმოადგენს, ის ისეთი რამე ყო-
ფილა, რომელსაც უფრო სწორე განსაზღვრა ესა-
კიროება. ჯერჯერობით კი ჩვენ ვნახეთ, რომ ის
არის მომქმედი ძალა, რომელმაც ყველა სხვა კანო-
ნები და უფლებრივი დაწესებულებები აუცილე-
ბლობით შექმნა ისეთი, როგორიც ისინი არიან
დღეს სინამდვილეში. ასე რომ მას შემდეგ არავი-
თარი სხვა კანონების გამოცემა არ შეიძლება, გა-
რდა ასეთებისა. აი აქ, ბატონებო, ჩვენ წინ უკვე
გაიელვა სინათლის პირველმა სხივმა, რომელიც
არღვევს სიბნელეს.

მაგრამ, ბატონებო, არის საზოგადოებაში ისე-
თი მეთაური მომქმედი ძალა, რომლის გავლენით
და ზედმოქმედებით ყველა გამოცემული კანონები
აუცილებლათ ისეთი გახდენ არსებითად, როგორაც
ნამდვილათ არიან? ამ კითხვის დაყენება თანდათან
ფანტავს ბურუსს და ბოლოს სრულიად სპობს მას.

დიახ, ბატონებო, სწორეთ რომ არის ისეთი რა-
მე და ეს რამეა, რეალური (ნამდვილათ არსებული)
ძალათა ურთისენობა, რომელიც არსებობს თვითი ულ-

საპირვებლის შემცირები. აი ის აქტიური, მომცმედი ძალა, რომელიც განსაზღვრულ სახეს აძლევს ყველა ამ საზოგადოების კანონებს და უფლებრივ დაწესებულებებს, ასე რომ მათ არ შეუძლიათ არსებითად სხვანაირი იყონ, ვინემ ნამდვილათ არიან.

აცხსნათ ეს კონკრეტული, ცოცხალი მაგალითი. მართალია ეს მაგალითი იმსახით, როგორც მე მაკვს წარმოდგენილი, ყოვლად შეუძლებელია სადმე მოხდეს, მაგრამ, როგორც ქვევით დავინახავთ, სხვა სახით მისი არსებობა სავსებით შესაძლებელია. საზოგადოთ საჭმე ის კი არაა, შეიძლება თუ არა ასეთი მაგალითი მოხდეს. საჭმე ისაა, რომ ამ მაგალითზე შევისწავლოთ საგნის ბუნება, თვისებები, რომელსაც ის გამოიჩენდა, რომ განხორციელებულიყო.

მოგეხსნებათ, ბატონებო, რომ პრუსიაში მხოლოდ იმას აქვს კანონის ძალა, რაც კანონთა კრებულშია გამოქვეყნებული. კანონთა კრებული იბეჭდება სასახლის უმთავრეს ტიპოგრაფიაში, რომელიც დეკერის ხელშია. კანონთა ორიგინალი ინახება განსაკუთრებულ სახემწიფო არხივებში, დაბეჭდული კრებული — სხვა არხივებში, ბიბლიოთეკებში, დაწიგნის მაღაზიებში. წარმოვიდგინოთ ერთი წუთით, რომ გაჩნდა საშინელი ცეცხლი, როგორც ჰამბურგში იყო, და გადაბუგა ყველა სახელმწიფო არხივები, ბიბლიოთეკები, წიგნის მაღაზიები და სასახლის ტიპოგრაფია დეკერისა. წარმოვიდგინოთ აგრეთვე, რომ რაღაც უცნაური შემთხვევით ასევე მოხდა სახელმწიფოს ყველა სხვა ქალაქებშიაც, — დაიწვა

ყველა კერძო ბიპლიოთეკები, საღაც კანონთა კრებული მოიპოვებოდა, ასე რომ მთელ პრუსიაში არგადარჩა კანონების არც ერთი სარწმუნო წყარო. ამნაირათ ქვეყანას დაეკარგა ყველა თავის კანონები და მეტი ლონე არაა, ახალი კანონების შემუშავებას უნდა შეუდგეს. რას ფიქრობთ თქვენ, ბატონებო, განა შესაძლებელი იქნებოდა ამ შემთხვევაში თავის ნებაზე მოქცევა და ისეთი კანონების გამოქვეყნება, როგორიც მოგვეხასიათებოდა? ვნახოთ.

ვთქვათ თქვენ იტყოდით: კანონები დაიღუპენ, უნდა შევქმნათ ახალი. მარა მეფის ძალას და უფლებებს ნუ დავიტოვებთ ისეთ მდგომარეობაში, როგორც მას დღემდის ეჭირა. ან და სრულიად გავაუქმოთ ის. ამაზე მეფე პირდაპირ ასე გიპასუხებდათ: კანონები დაიღუპენ, მარა მერე რა? რავამოდის აქედან? ფაქტიურათ მე მემორჩილება ჯარი. ის წავა იქით, საითაც მე ვუბრძანებ. ფაქტურათ არსენალების და ყაზარმების კომენდანტები ჩემი ერთი ბრძანებით გამოგზავნიან ზარბაზნებს და არტილერია ქუჩაში გამოვა. აი ამ ფაქტიურ ძალაზე დამყარებული მე არ მოვითმენ, რომ ვინმე შეეხოს ჩემ მდგომარეობას, რომელიც მე დღეს მიჰირავს. აქედან თქვენ ხელავთ, ბატონებო, რომ ბეჭუ, რომელსაც ემთრჩილება ჯარი და ჟარბაზნები, ნაწილია კონსციციურის.

ან და ვთქვათ თქვენ იტყოდით: სუკველა პრუსიელები 18 მილიონი სული ვიქნებით. ამ 18 მილიონში ურევია ერთი მუჭა მსხვილი მიწათ მფლო-

ბელი თავად-აზნაურები. ჩვენ არ გვესმის, რათ უნდა ქონდეს ამ უმნიშვნელო ჯგუფს იმდენივე პოლიტიკური გავლენა, რამდენიც 18 მილიონ ხალხსა აქვს. ისინი კი რატომლაც შეადგენენ „ბატონთა პალატას“, რომელიც იხილავს მთელი ხალხის მიერ არჩეულ დეპუტატთა პალატის დადგენილებებს და უარსყოფს ყველას, რომელიც კი ცოტაოდნათ სახეიროა. ვთქვათ თქვენ სულ სხვანაირათ გასჯიდით და იტყოდით: ყველა ჩვენ ერთათ — აა ნამდვილი „ბატონები. ჩვენ არ გვსურს განსაკუთრებული, ბატონების პალატა.“

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ მემამულე თავადაზნაურობა თქვენს წინააღმდეგ თავის გლეხებს ვერ გამოიყვანენ, ის კი არა, პირიქით თვითონ პირველათ ყოვლისა, იმაზე უნდა იზრუნონ, რომ თავი როგორმე ცოცხალი დაახტონ მათი ხელიდან. მარა მსხვილ მემამულე თავად-აზნაურობას ყოველთვის დიდი გავლენა იქვს მეფის კარზე და ამ გარემოების წყალობით, მათ ისე აღვილათ შეუძლიათ თავის დასაცველათ ჯარი და ზარბაზნები გამოიყვანონ თქვენ წინააღმდეგ, თითქო ყველა ეს ძალები მათ სრულ განკარგულებაში იყოს. ამნაირათ თქვენ ხედავთ, ბატონებო, რომ თავად-აზნაურობა, რომელსაც გავლინა აქვს მიღები და სასახლები, არის ნაწილი კონსფიდენციალის.

ახლა ავიღოთ წინააღმდეგი შემთხვევა: ვთქვათ, მეფე და თავად-აზნაურობამ მოისურვეს საშვალო საუკუნოების დაბრუნება, ამჭრული წესების აღდგენა

და ეს არა მარტო წვრილ სახელოსნოებში, — ასეთი
 ცდა მარტლაც იყო ამ რამდენიმე წლის წინეთ
 — არამედ ისე ფართოთ, როგორც ეს საშვალ საუკუ-
 ნოებში იყო, ე. ი მთელ საზოგადოებრივ წარმო-
 ებაში, და მაშასადამე მსხვილ მრეწველობაშიც,
 მაშინურ წარმოებაშიაც. ოქვენ გეცოდინებათ, ბა-
 ტონებო, რომ საშვალო საუკუნოების ამქრულ წყო-
 ბილების ფარგალში მსხვილი კაპიტალის, მსხვილი-
 საფაბრიკო მრეწველობის არსებობა შეუძლებელია.
 ამ წყობილების ღრმის არსებობდა მაგ. ისეთი კანო-
 ნები, რომელნიც აშორებდენ, ყოფდენ ერთმანე-
 თისგან წარმოების სხვა და სხვა დარგებს. ამის გამო
 ხშირად გათიშული რჩებოდა ერთმანეთისავან წარ-
 მოების მახლობელი მონათესავე დარგები და არავის-
 უფლება არ ქონდა შეერთებია ისინი. მლებავს-
 არ შეეძლო ჭუკრუტანები ამოევსო კედლებში,
 მკედლები მუდამ უჩიოდენ ზეინკლებს თავიანთ-
 ხელობის საზღვრებს; შპალიერის გამჯვრელს-
 უფლება არ ქონდა მლებავის საჭე ეკისრა და
 სხვა. ამასთანავე ამქრულ წყობილების ღრმის-
 დაწვრილებით იყო კანონით განსაზღვრული
 თვითეულ საწარმოვო დაწესებულების სიღილე
 და ყოველ ქალაქში, ყოველ ხელობაში — ამქრის-
 ხელოსანთ შეძლოთ აეყვანათ მხოლოდ ერთი მე-
 ორის თანასწორი, კანონით განსაზღვრული რიცხ-
 ვი მუშების.

აქედან ცხადათ ჩანს, რომ ამ ორი შიზეზის
 გამო მსხვილი, მაშინური წარმოება, მაშანური სის-

ტემა ერთ დღესაც ვერ გაძლებდა ამქრულ წყობილებაში. მსხვილი წარმოებისთვის აუცილებლათ საჭიროა: 1) შრომის სხვა და სხვა დარგების შეერთება მსხვილი კაპიტალის პატრონის ხელში. და 2) მასსიური (აუარებელი) წარმოება და თავისუფალი კონკურენცია, ერთი-სიტყვით მუშათა განუსაზღვრული რიცხვის დაჭირავების უფლება.

რა იქნებოდა, რომ მიუხედავათ ამისა მაინც არ დაეშალათ ამქრულ დებულებათა შამოლება? აი რა:

ბბ. პორზიგი, ეგელსი და სხვ., მსხვილი ფაზრიკანტები, რომელთაც ბამბეულის, აბრეშუმის და სხვ. წარმოება აქვთ, მაშინვე დაკეტდენ თავი ფაბრიკებს და ყველა მუშებს ქუჩაში გამოყრიდენ. ასევე დაემართებოდა რკინის გზის მართველობასაც. ბევრი სახელოსნოებიც, ზოგი ნებით დაზოგი იძულებით გაუშვებდენ თავის ქარგლებს. ეს აუარებელი ხალხი ქუჩებს მოედებოდა და მოითხოვდა პურს და სამუშაოს. მას მიემხრობოდა მსხვილი ბურუუაზია, რომელიც ეცდებოდა მათ აღელვებას, თავის ძლიერებით გამხნევებას; ფულითაც დახმარებას გაუწევდა და ასე გაიმართებოდა ბრძოლა, რომლიდანაც გამარჯვებული ქუჩა გამოვიდოდა და არა მეტის ჯარი. ამნაირათ თქვენ ხედავთ, ბატონებო, რომ ბბ. პორზიგი, ეგელსი და საზოგადოთ მსხვილი მრაწველუნები—ნაწილია კონსულების.

წარმოვიდგინოთ ახლა ასეთი შემთხვევა: ვთქვათ მთავრობამ მოისურვა ისეთი ზომების მიღება,

რომელნიც არსებითად ეწინააღმდეგებიან მსხვილი ბანკირების ინტერესებს. მაგ. მან სთქვა: მეფის ბანკი არ უნდა ემსახურებოდეს მსხვილ ბანკებს და კიპიტალისტებს, როგორც ემსახურება დღეს. მათ უამისოდაც ყველგან ნდობა აქვთ და ფულიც ეშოვებათ. ახლა კი მხოლოდ მათ შეუძლიათ ბანკიდან სესხი მიიღონ. მეფის ბანკი სულაც არ უნდა ემსახურებოდეს მათ ინტერესს, მათთვის იატი სესხის მიწოდებას. ის სულ სხვა მიზანს უნდა მისდევდეს, სახელდობრ, ღარიბ და საშვალო ქონების პატრონთათვის იატი სესხის მოპოვებას. ამიტომ ის უნდა ისე მოეწყოს, რომ მის ოპერაციებს სწორეთ ასეთი შედეგები მოყვეს, მარა შეიძლება ამის განხორციელება? მართალია ასეთი ზომები აჯანყებას არ გამოიწვევდა, მარა თანამედროვე მთავრობისათვის ეს მაინც შეუძლებელია და აი რატომ.

მთავრობას, ბატონებო, ხშირათ ისეთი დრო უდგება, რომ მან აუცილებლათ ბევრი ფული უნდა იშოვნოს, იმდენათ ბევრი, რომ ვერ ბედავს მის მოკრებას ხალხში გადასახადების სახით. ამ შემთხვევაში ის მეორე საშვალებას ადგება, მომავალ შემოსავალს ხარჯავს, ჭამს, ე. ი. იღებს სესხს და აძლევს სახელმწიფო ვექსილებს. ასეთი სესხისთვის საჭიროა ბანკირები. მართალია დროთა განმავლობაში ამ ქალალდების დიდი უმრავლესობა ისევ წვრილ კაპიტალისტებს და ერის ქონებიან კლასებს უვარდებათ ხელში, მარა დრო უნდა, ხშირათ კარგა დიდი დროც მთავრობას კი ფული

ტურქი

საჩქაროთ ესაჭიროება — ან ეხლავე მთელათ, ან მჲ-
კლე ღრმში ნაწილ ნაწილათ. აი აქ მისთვის საჭიროა
შუამავალი, რომელიც მისცემს მას მთელ თანხას
და თავის თავზე აიღებს ამის მაგიერ მიღებულსა-
ხელმწიფო ქალალდების გასაღებას. ამ ქალალდებს
ეს უკანასკნელი ნელნელა ავრცელებს საზოგადოე-
ბაში და ხშირათ ბირჟაზე ხელოვნურათ კურსის
აწევით მოგებასაც ნახულობს. ასეთი მოსაშვალე
არიან მსხვილი ბანკები. ცხადია მათი გადაკიდება
მთავრობას ხელს არ მისცემს. ამნაირათ თქვენ ხე-
დავთ, რომ ბანკირები მენდელსონი, შიკლერი და
საზოგადოთ შირქა — ნაწილია კონსფიდენციალის.

ავიღოთ კიდევ სხვა შემთხვევა: ვთქვათ მოავ-
რობას აზრათ მოუვიდა ისეთი სისხლის სამართლის
კანონთა გამოცემა, როგორც მაგ. ჩინეთშია, და
რომელიც შვილის ჩადენილ კურდობისთვის მამას
ადებს სასჯელს. ასეთი ახირებულობა რასაკვირვე-
ლია ბოლომდი ვერ გასტანდა, რადგან ის მეტის-
მეტათ ეწინააღმდეგება თანამედროვე კულტურულ
განვითარებას და საზოგადოების ზნეობრივ შეხედუ-
ლებებს. ყველა ჩინოვნიკები თვით ტაინი-სოვეტინი-
კებიც კი განცვითრებული გადაშლიდენ ხელებს
მისგავონებაზე, და „ბატონების პალატაც“ დასაძრა-
ხისათ ჩასთვლიდა მას. მაშასადამე, თქვენ ხედავთ,
ბატონებო, რომ გარსაპრეზიდენტი საბორგა-
დოების პრეზიდენტი შესედულები და კულტურული.
განვითარება აგრძელება ნაწილია კონსფიდენციალის. ახლა,
ვთქვათ, მთავრობამ გადაწყვიტა დაკმაყოფილება

აზნაურების, მსხვილ ბანკირების, მსხვილ მრეწველების და კაპიტალისტების; მაგრამ სამაგიეროთ მოინდომა პოლიტიკურ უფლებების წართმევა წვრილი ბურუუაზისთვის და მუშებისთვის. მოახერხებდა ამას თუ ვერა, ბატონებო? დროებით, რასაკვირველია, მოახერხებდა. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ეს შესაძლებელი გახდა ჩვენში და ქვეითაც გვექნება შემთხვევა ამ კითხვაზე ლაპარაკის. ახლა კი წარმოვიდგინოთ შემდეგი: ვთქვათ, გადაწყვიტეს წაართვან წვრილ ბურუუაზის და მუშებს არა მარტო პოლიტიკური თავისუფლება, არამედ პიროვნულიც ე. ი. გადაწყვიტეს მათი გამოცხადება პირადათ არათავისუფლებათ, ყმებათ, ანუ მემამულეთა მეხარკებათ, როგორც ეს იყო საშვალო საუკუნოებში. მოახერხებდენ ამის განხორციელებას? არა, ამას ვერ მოახერხებდენ, თუნდაც შეფე, მთელი თავად-აზნაურობა და მსხვილი ბურუუაზია შეერთდეს ამ მიზნით. მაშინ თქვენ იტყოდით: არა, უმჯობესია ყველანი გავწყდეთ, და მონობას კი მაინც ვერ ავიტანთ! მუშები ქუჩებისკენ გაეშურებოდენ და თვითონ, გვ. მორზიგის და ეგელსის დაუკითხავათ მიაკეტავდენ ფაბრიკებს, მთელი წვრილი ბურუუაზია მათ ამოუდგებოდა მხარში და მათი შეერთებული ძალის გატეხა შეუძლებელი გახდებოდა. ამნაირათ თქვენ ხედავთ, ბატონებო, რომ ბოგირთ უკიდურეს შემთხვევაში თქვენც ყვილანი—ნაწილი სართ ჭურცედებულის.

ამნაირათ თქვენ იცით ახლა, ბატონებო, თუ

რა არის კონსტიტუცია. ის არის საზოგადოებაში არსებულ რეალურ ძალთა განწყობილება. რაღა არის ის, რასაც ჩვეულებრივათ უწოდებენ კონსტიტუციას? რა არის უფლებრივი კონსტიტუცია? ახლა, ბატონებო, თქვენ თვითონ მიხვდებით, რაში მდგომარეობს ის: ეს რეალური ძალთა ურთიერთობა, სიტყვიერათ გამოთქმული, გადააჭირ ქალალდზე და რაკი ის ერთხელვე ჩაწერილია, ის უკვე არის არა მარტო ფაქტიურ ძალთა ურთიერთობა, განწყობილება, არამედ უფლება, უფლებრივი დაწესებულება, და ვინც მის წინააღმდეგ აღდგება, ის სასჯელს მიიღებს.

სწორეთ ამგვარათვე თქვენთვის ახლა თავისთვათ ცხადი უნდა იყოს, თუ როგორ ხორციელდება ცხოვრებაში ეს წერილობითი გამოხატულება ფაქტიურ ძალთა ურთიერთობის, რომელიც მათ უფლებრივ ურთიერთობათ ქმნის. რასაკვირველია პირდაპირ არ დაწერენ: ბბ. ბორზიგი (ფაბრიკანტი) არის ნაწილი კონსტიტუციისა. ბ. მენდელსონი (ბანკირი) არის ნაწილი კონსტიტუციისო. არა, ამას უფრო განათლებული ფორმით გამოსთქვამენ, მაგ. თუ უნდათ დაადგინონ, რომ მსხვილ კაპიტალისტების, მსხვილ მრეწვნლების მცირე ჯგუფს ამდენივე ან მეტი ძალა ქონდეს სახელმწიფოში, რამდენიც ყველა დანარჩენ მოქალაქეთ, მუშებს და გლეხებს ექნება ერთათ, ამას სრულიადაც არ იტყვიან პირდაპირ, აშკარათ. არა, ამ მიზნით გამოსცემენ ისეთ კანონს, როგორც მაგ. 1849 წლის სამ კლასიანი

საარჩევნო კანონია. ამ კანონით, როგორც გეცოდინებათ, მთელი სახელმწიფო ამომრჩეველთა სამკლასათ არის გაყოფილი იმის მიხედვით, თუ ვინ რამდენ გადასახადს იხდის, რაც თავის მხრივ დამოკიდებულია ქონების, კაპიტალის რაოდენობაზე.

ბატონებო! ოფიციალურ სიების თანახმათ, რომელიც 1844 წელს სამკლასიან საარჩევნო კანონის გამოცემის შემდეგ შეადგინა მთავრობამ, მთელ პრუსიაში იყო სულ 3,250,600 საზოგადო ამ-რჩეველი, რომელნიც შემდეგ ნაირათ იყვენ დაყოფილი სამკლასათ:

პირველ საარჩევნო კლასს ეკუთვნოდენ მთელ პრუსიაში		153, 808	ამომრჩეველი
მეორეს	" "	409, 945	"
მესამეს	" "	2, 691, 950	"

ვიმეორებ, ეს ციფრები ოფიციალურ სიებიდან არის ამოლებული. აქედან თქვენ დაინახავთ, რომ 153,808 ძალიან მდიდარ პირს პრუსიაში იმდენივე პოლიტიკური ძალა და უფლებები აქვთ, რამდენიც 2,691,950 წვრილ მოქალაქეს, გლეხს და მუშას. შემდეგ ამ 153,808 ძლიერ მდიდართ და 409,945 საშვალო მდიდართ, რომელნიც ამომრჩეველთა მეორე კლასს შეადგენენ, ორჯერ მეტი უფლება აქვთ, ვინემ მთელი ერის ყველა დანარჩენ კლასებს ერთათ. ასე რომ 153,808 ძლიერ მდიდართ და მეორე კლასის 409,945 ამომრჩეველთ ბევრათ უფრო მეტი პოლიტიკური უფლება აქვთ, ვინემ მეორე კლასის გონიერივათ-მდიდართა მეორე ნახე-

ვარს და მესამე ცალასის 2,691,950 აშჩჩევლებს
 ერთათ. აქედან თქვენ ხედავთ, გატონებო, რომ
 ყველა ამის შედეგები სავსებით ისეთივეა, როგო-
 რიც იქნებოდა, კონსტიტუციაში რომ პირდაპირ
 ასეთი უზრდელი სიტყვები ჩაეწერათ: ერთ მდიდარს
 17 ჯურ მიჟდი პოლაციური უფლისა უნდა ქონდეს,
 ვინამ სახუა მოძალადეს, ანუ ერთ მდიდარს იმდენის
 უფლისა უნდა ქონდეს, რამდენიც 17 სახუა მოძალადეს.

ამ სამკლასიანი საარჩევნო კანონის გამოცემამდე
 ჩვენში არსებობდა 1848 წ. 8 აპრილის კანონით
 შემოღებული საყოველთაო საარჩევნო უფლება,
 რომელიც ყველა მოქალაქეს განურჩევლათ სიმღი-
 ლრისა და სილარიბისა, აძლევდა თანასწორ საარჩევნო
 უფლებას, თანასწორ პოლიტიკურ ძალას, თანასწორ
 უფლებას სახელმწიფოს ნების და მიზნის განსაზღვ-
 რაში.

ყველა ეს ამტკიცებს იმას, რაც ზევით ვთქვით;
 სამწუხაროთ აღვილია პოლიტიკური უფლების წა-
 რთმევა თქვენთვის, მუშების და დაბალ მოქალაქე-
 თათვის, თუ კი პირდაპირ და რაღიკალურათ თქვენ
 პირად საკუთრებას, სხეულსა და კეთილდღეობას
 ან შეეხებიან. თქვენ მოითმინეთ საარჩევნო, და
 აქამდის არავითარი აგიტაცია არ ისმის წართმეულის
 ღასაბრუნებლათ.

შემდეგ, თუ სურთ დაადგინონ კონსტიტუციაში,
 რომ მიწათ-მფლობელ თავად-აზნაურთა მცირე ჩიცხვს
 იქმდენივე უფლება ქონდეს, რამდენიც აქვთ სამივე
 საარჩევნო კლასებს ერთათ, ე. ი. რამდენიც აქვს მთელ

ერს, ამას არასოდეს არ გამოთქვამენ გაუნათლებელ
 ფორმით, პირდაპირ, იმიტომ, რომ, ნუ დაგავიწყ-
 დებათ, ბატონებო, მათი აზრით აშკარათ თქმა და
 პირდაპირობა ნიშნავს. მოუხეშაობას და გაუნათლე-
 ბლობას. ისინი კონსტიტუციაში ამას დასწერენ: ძი-
 რითადი, ძველებური მიწათ-მფლობელებისაგან მცი-
 რეოდენი—არა არსებითი დამატებით—უნდა დაარ-
 სდეს ბატონების პალატა; და დეპუტატთა პალატის,
 ამ მთელ ერის წარმომადგენლის, დადგენილებები
 მაშინ გახდებიან ნამდვილი და შევლენ ძალაში, თუ
 მათ ეს პალატა დაეთანხმება. ამნაირათ, ერთ მუჭა-
 ძველ მემამულეებს იმდენი პოლიტიკური უფლებები
 ეძლევა, რომ აკარბებს მთელ ერის და ყველა კლა-
 სების ერთხმათ გამოთქმულ ნებას. ამგვარათვე როცა
 უნდათ, რომ მეფეს, ერთ კაცს, იმდენავე ან და
 მეტი პოლიტიკური ძალა და უფლება ქონდეს,
 ვინემ სამივე ამრჩეველთა კლასებს, ვინემ მთელ ერს,
 მემამულე თავაღ-აზნაურების ზედ დამატებით, ამ
 საჭირო ასე მოაწყობენ:

კონსტიტუციის მეექვსე მუხლში სწერენ: „მეფე
 ნიშნავს ყველა თანამდებობის პირთ ჯარში.“ ხოლო
 108 მუხლი ამბობს: „ჯარმა არ უნდა შეფიცო
 კონსტიტუციას“; ამ მუხლთან ერთათ ქმნიან იხალ
 თეორიას, რომელსაც პრინციპიალურათ სწორეთ
 ამ მუხლით ასაბუთებენ. თეორიას, რომლის თანახმათ
 მეტეს სრულიად განსაკუთრებული დამოკიდებულება
 აქვს ჯართან, ვინემ ყველა დანარჩენ სახელმწიფო
 დაწესებულებებთან, რომ ჯარისათვის ის არა მარტო

მეფეა, არამედ რაღაც სხვა, მეტი, სრულიად გან-
 საკუთრებული, საიდუმლო, მიუწოდომელი, და ამის
 აღსანიშნავათ იგონებენ სრულიად ახალ სიტყვას:
 „სამხედრო წინამძღვარი“ (Kriegcherr). აქედან გა-
 მოდის, რომ დეპუტატთა პალატას, ანუ ერს, არა-
 ვითარი საქმე არა აქვს ჯართან, მის შინაურ წყობი-
 ლებასთან და ორგანიზაციასთან, რომ ის ამ საქმეებში
 არ უნდა ერეოდეს, და მხოლოდ ფულს უნდა იძ-
 ლეოდეს მის შესანახად. უნდა გამოვტყდეთ — სიმა-
 რთლე გამომულავნებული, სჯობია — ამ თეორიას, მა-
 რთლაც აქვს რამდენიმეთ საფუძველი კონსტიტუციის
 108 მუხლში, თუ ძირითადი კანონებით დადგენი-
 ლია, რომ ჯარი ვალდებული არაა შეფიცოს კონ-
 სტიტუციას, როგორც ეს ევალება ყველას, ვინც
 სახელმწიფო სამსახურში იმყოფება და თვითონ მე-
 ფესაც, ამით კონსტიტუცია პრინციპიალურათ აღი-
 არებს, რომ ჯარი სდგას კონსტიტუციის გარეშე
 და არაფერი საერთო არ აქვს მასთან, რომ ჯარს
 დამოკიდებულება აქვს მხოლოდ და მხოლოდ მეფე-
 სთან და არა მთელ ხალხთან. რაკი ისეთი წესია
 შამოლებული, რომ მეფე ნიშნავს ყველა თანამდე-
 ბობის პირებს ჯარში და ჯარი განსაკუთრებულ
 დამოკიდებულებაშია მასთან, ამით მეფეს ეძლევა
 არა თუ იმდენი პოლიტიკური უფლება, რამდენიც
 მთელ ხალხს აქვს ერთათ, არამედ ათჯერ მეტიც,
 და ეს ივ შემთხვევაშიც, თუნდაც რომ ქვეყნის ძა-
 ლა ნამდვილათ ათჯერ, ოცჯერ, და 50 ჯერ აღ-
 მატებოდეს ჯარის ძალას.

ასეთ წინააღმდეგობას სულ უბრალო და მარტივი მიზეზები აქვს: მეფის ძლიერების პოლიტიკური იარაღი, — ჯარი — დაწყობილია, მუდამ ერთათ არის, დისკიპლინას შეჩვეულია და ყოველ წუთს მზათაა სამოქმედოთ, ერის ძალა კი, თუნდა ნამდვილათ მეტი იყოს, მოუწყობელია, ბატონებო. ერის ნება და განსაკუთრებული გამბედაობა, რომელიც მან შეიმუშავა, მისი წევრებისთვის ყოველთვის ცნობილი არაა, ამიტომ არავინ დინამდვილებით არ იცის, რამდენი ხალხი გაყვება მას. ამასთანავე ერს არა აქვს შეკავშირებული ძალის ის იარაღები, ის მეტათ საყურადღებო ნაწილი დღევანდელი კონსტიტუციის, რომელზედაც წინეთ გეუბნებოდით, ე. ი. ზარბაზნები. მართალია, ისინი ხალხის ფულით არის შეძენილი, მართალია ისინი გამოიგონა და გააუმჯობესა მეცნიერებამ, რომელიც წარმოშვა თანამედროვე მოქალაქობრივმა ცხოვრებამ, ფიზიკამ, ტეხნიკამ და სხვ. მაშასადამე თვითონ მისი არსებობა ამტკიცებს, რამდენათ ძლიერი ყოფილა სამოქალაქო საზოგადოება და რამდენათ დიდია მეცნიერების, ტეხნიკურ ხელოვნების და სხვადასხვა დარგის ფაბრიკაციის და შრომის წარმატება. მაგრამ აი აქ მაგონდება პოეტი ვირგილის ლექსი: შენ აკეთებ ამას, მარა არა შენთვის! ზარბაზნები კეთდება მხოლოდ შეკავშირებული ძალისთვის. ამიტომ ხალხმა იცის, რომ შეტაკების დროს ამ თავის ხელით მომზადებულ ზარბაზნებს, მისი ძლიერების მოწამეს, მოწინააღმდეგ ბანაკში ნახავს. აი ამიტომ ხშირათ პატარა,

წერა. ამ ფაკტიურ ძალთა ურთიერთობას ყოველთვის მძიმე უღელს ადგამდენ კისერზე.

საჭმეთა ფაკტიური მსვლელობა იძლეოდა ეგრეთ წოდებულ პრეცედენტებს, ანუ მაგალითებს, რომელნიც შემდეგში დიდ როლს თამაშობდენ საკონსტიტუციო კითხვების გადაკრის დროს საშვალო საუკუნოებში. ინგლისში ასეთი წესი დღემდისაც გაბატონებულია. რაღაც ხალხი ფაკტიურათ ასე დაჩაგრული იყო, ამიტომ ამბობდენ, რომ მის ზურგზე მალაყის გადასვლა ყოველთვის შეიძლებაო. სხვანაირათ არც შეიძლებოდა ყოფილი არა ამნაირათ შემუშავებული აზრი შემდეგ სახელმწიფო პრინციპათ იქცეოდა და ყოველ მსგავს შემთხვევაში სახელმძღვანელოთ ხდებოდა. ხშირათ რომელიმე განსაკუთრებული მოვლენა, რომელსაც ძალთა ფაკტიურ ურთიერთობაში ქონდა საფუძველი, პერგამენტზე იწერებოდა და ამნაირათ წერილობით გამოხატულებას პოულობდა. ასე წარმოსდგა თავისუფლებები, უფლებები, შეღავათები, და სტატუტები, (დებულებები), რომელიმე წოდების, ხელობის ქალაქების და სხვ. ყველა ეს ფაკტები, პრეცედენტები, სახელმწიფო-უფლებრივი პრინციპები, პერგამენტები, თავისუფლებები, დებულებანი, უპირატესობანი ერთათ შეადგენენ სახელმწიფოს კონსტიტუციას, და ყველა ეს არსებითად მხოლოდ უბრალოთ გულუბრყვილო გამომხატველია ძალთა რეალური ურთიერთობის და მეტი არაფერი. მაშასადამე ნამდვილი

კონსტიტუცია ყოველ დროს და ყველა ქვეყანაში ყოფილა.

მხოლოდ რაც მართლა შეადგენს ჩვენი დროის განსაკუთრებულ თვისებას, ეს არის არა ნამდვილი, რეალური, არამედ წერილობითი კონსტიტუცია ე. ი. ფარატინა ქაღალდის ფურცელი. ეს ყურადღების ლირსია და მხედველობიდან არ უნდა გაუშვათ.

მართლაც და თანამედროვე სახელმწიფოებს აშკარათ ეტყობათ მისწრაფება წერილობითი კონსტიტუციის შეძენისადმი, რომელიც უნდა ერთ გრამატაში, ერთ ფურცელ ქაღალდზე ათავსებდენ და ამტკიცებდეს სახელმწიფოს ყველა დაწესებულებებს და მართვა-გამგეობის პრინციპებს. საიდან წარმოსდგება თანამედროვე დროის ასეთი მისწრაფება? ეს ძლიერ საყურადღებო კითხვაა, რადგან მხოლოდ ამის პასუხიდან გავიგებთ თუ როგორ უნდა შეცუდგეთ კონსტიტუციის შედგენას, როგორ უნდა ვუყურებდეთ უკვე მზამზარეულ კონსტიტუციებს და რა დამოკიდებულება დავიკიროთ მათთან, ერთი სიტყვით მხოლოდ ამის პასუხი შეგვძენს ჩვენ სრულ საკონსტიტუციო ხელოვნებას და საკონსტიტუციო სიბრძნეს. ამიტომ მე ისევ ვაყენებ კითხვას: საიდან წარმოსდგება ჩვენ დროში ასეთი მისწრაფება წერილობით კონსტიტუციისადმი? აბა საიდან უნდა წამომდგარიყო ის, ბატონებო?

გამოცანა აღვილი ასახსნელია. ცხადია შეცვლილი უნდა იყოს ნამდვილი ძალთა დამოკიდებულება იმ ქვეყნებში, სადაც ასეთი მისწრაფება არ-

სებობს. თუ ასეთი ცვლილება არ მომხდარიყო.
ნამდვილ ძალთა დამოკიდებულებაში, თუ მათი
ურთიერთობა წინანდებური იყოს, წარმოუდგენე-
ლი და შეუძლებელია, რომ საზოგადებას ახალი
კონსტიტუციის საჭიროება ეგრძნო. ის ძველათაც
სრულიად კმაყოფილი იქნებოდა. სულ ბევრი რომ
ვთქვათ, მას, შეიძლება, მოესურვებია კონსტიტუ-
ციის გაფანტული ნაწილების თავის მოყრა და ერთ-
ლრამატაში მოთავსება. როგორ ხდება ცვლილება
საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთობაში? წარმოი-
დგინეთ, მაგალითად, საშვალო საუკუნის სახელმ-
წიფო, თხლათ დასახლებული, როგორც ყველა სწვა-
მაშინდელი სახელმწიფოები, მეფით და თავად-აზნა-
ურობით სათავეში, რომელთაც ეკუთვნის მიწის
უმეტესი ნაწილი სახელმწიფოში. რაღგან მცხოვრე-
ბთა რიცხვი მცირეა, ცხადია, მხოლოდ მისი მცი-
რედი ნაწილია ჩამბული მრეწველობასა და ვაკრო-
ბაში; უმეტესი ნაწილი კი ცხოვრობს მიწის დამუ-
შავებით და აქედან არსებობისთვის აუტანელი ნივ-
თების წარმოებით. რაღგან მიწის უმეტესი ნაწილი
თავად-აზნაურობის ხელშია, ცხადია, მცხოვრებლებს
შეუძლია მიწის შოვნა მხოლოდ მათგან, და ამი-
ტომ მასთან ამა თუ იმ დამოკიდებულებაში დგება,
ის ხდება ვარსალი, ყმა, მემკვიდროებით ფერმერი
(მოიჯარაზრე) და სხვ. ყველა ეს დამოკიდებულე-
ბები მხოლოდ სხვა და სხვა ფორმაა ერთი და იმავე
პრინციპის—მცხოვრებლების თავად-აზნაურებზე და-
მორჩილების. მათ ერთი აზრი აქვთ, ყველა მცხო-

ვრებლები ამსახურონ თავად-აზნაურობას, როგორც
მათი ვასალები, და მათ ომებში სისხლის საღვრელათ
ქამოიყვანონ. ზედმეტი შამოსავლით, რომელსაც
თავად-აზნაურები თავის მამულებიდან იღებენ, ინახ-
-ვენ მეომრებს, მხლებლებს და საზოგადოთ სხვა და სხვა.
გვარ ჯარის კაცებს. მათი ძალის წინაღმდეგ მეფეს არ
-შეუძლია არავითარი ნამდვილი ძალის წამოყენება,
გარდა იმ აზნაურებისა, რომელნიც თავისნებით გა-
მოვლენ მის მოწოდებაზე — ძალათ მათი გამოყვანა-
მას გაუჭირდებოდა, — და იმ მცირედ დასახლებულ-
ქალაქებისა, რომლების ძალა ისე სუსტი იყო, რომ
მოსახსენებლათ არ ღირს.

როგორი უნდა ყოფილიყო, ბატონებო, ასეთი
კვეყნის კონსტიტუცია? რასიკვირველია, ის იქნება
გამომხატველი იმ რეალურ ძალთა ურთიერთობის,
რომელიც არსებობდა ჩვენგან განხილულ სახელ-
მწიფოში. კონსტიტუცია იქნებოდა წოდებრივი და
აზნაურობა მის პირველ და ყოველ მხრივ გაბატონე-
ბულ წოდებათ. მის ნებადაურთველათ მეფეს უფ-
ლება არ ექნება არც ერთი გროში გადასახადის.
გაწერის. თავად-აზნაურებ შორის ის იქნება მხო-
ლოდ, როგორც პირველი თანასწორებ შორის. და
მართლაც ასეთი იყო, ბატონებო, საშვალო საუკუ-
ნოებში პრუსიის და სხვა სახელმწიფოთა უმრავლე-
სობის კონსტიტუცია. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ
ხალხი სულ უფრო და უფრო მრავლდება, შრეწვე-
ლობა და ხელოსნობა ვითარდება, და ეს თავის
მხრივ შეძლებას იძლევა მცხოვრებთა რიცხვი

კიდევ უფრო გაიზარდოს, და ამნაირათ ქალაქები ხალხით იცხება. კაპიტალი და ფულის სიმდიდრე ვითარდება ბურუუაზიის და ქალაქის გავლენების ხელში. რა შედეგები მოყვება ამას?

გამრავლება ქალაქის მცხოვრებლების, რომელნიც დამოუკიდებელი არიან თავად-აზნაურობაზე და რომელთა ინტერესები ძირითადათ ეწინააღმდეგება მათ ინტერესებს, კარგ სამსახურს უწევს მეფეს. მცხოვრებთა გამრავლებით იზრდება ისეთ პირთა რიცხვი, რომელთაც შეუძლიათ იარაღის ტარება და რომელნიც ამასთანავე მეფის განკარგულებაში იმყოფებიან. ქალაქის მცხოვრებლები და ყველა ისინი, ვინც რაიმე ხელობას აღგიან, ბევრ გაჭირვებას ითმენენ თავად-აზნაურების ერთმანეთში დავისა და კინკლაობისაგან, რომელსაც დასასრული არა აქვს. მრეწველობის ინტერესები თხოულობენ საზოგადოებრივ მშვიდობიანობის და უშიშრობის დამყარებას და მართლ მსაჯულების რიგიანათ წარმოებას. ამიტომ ისინი სიამოვნებით უწევენ მეფეს დახმარებას ხალხით და ფულით. მათი შემწეობით მეფეს შეუძლია, როცა დასჭირდება, საკმაოთ ძლიერი სამხედრო ძალა გამოიყვანოს და ამით თავად-აზნაურებზე უპირატესობა, ბატონობა მოიპოვოს. მაშინ მეფე მიყოფს ხელს თავად-აზნაურთა უფლებების შეზღუდვას, წაართმევს მათ ომის გამოცხადების უფლებას, და თუ ვინმემ ურჩობა გაუწია, მის ციხე-დარბაზებს ერთიანათ მიუნგრ-მოუნგრევს. ბოლოს დროთა განმავლობაში

წარმოების განვითარების წყალობით, ქვეყნის სიმ-
დიდრე, ფული და მცხოვრებთა რიცხვი იმდენათ
იზრდება, რომ მეტეს შეძლება ეძლევა მუდმივი
ჯარი იყოლიოს, და მაშინ ის მიუსევს თავის პოლ-
კებს თავად-აზნაურთა საკრებულოს, როგორც ეს
ჩაიდინა დოდმა კურთრისტმა, და ფრიდრიხ ვილ-
გელმისავით იტყვის: „მე გავამაგრებ თვითმშეკრ-
ძელობას, როგორც სალ კლდეს.“ ის მოუსპობს
თავად აზნაურებს შეღავათებს გადასახადებში და
წართმევს მათ უფლებას გადასახადების დამტკი-
ცების უფლებას. თქვენ ხედავთ, რომ ძალთა ურ-
თიერთობის შეცვლასთან ერთათ შეიცვალა კონ-
სტიტუციაც. დაარსდა აბსოლიუტური მონარქია.

ხელმწიფეს სულაც არ ესაჭიროება ახალი
კონსტიტუციის დაწერა. მონარქია მეტათ პრაქტი-
კულია, რომ ამისთანა საჭმეს მოკიდოს ხელი. ხელ-
მწიფეს ხელში აქვს რეალური, ფაქტიური საშვა-
ლება, მუდმივი ჯარი, რომელიც ამ საზოგადოების
ნამდვილ კონსტიტუციას შეადგენს. დროთა გან-
მავლობაში ხელმწიფე და მისი მომხრენი თვითონ
აღიარებენ ამას და ქვეყანას „სამხედრო სახელმწი-
ფოს“ არქმევენ.

თავად-აზნაურობას მოესპო მეტესთან ქიშპო-
ბის ყოველი საშვალება და იძულებული შეიქნა
ხელი აეღო დამოუკიდებელ, სამხედრო ძალის ყო-
ლაზე. მან დაივიწყა თავის ბრძოლა მეტესთან,
დაივიწყა, რომ ოდესაც მისი სწორა იყო; უმრავ-
ლესობამ მიატოვა თავის ციხე დარბაზები და სა-

ტახტო ქალაქებში გადასახლდა. აქ ისინი იღებენ პენსიებს მეფისგან და მისი ძლიერების და ბრწყინვალების სამკაულს შეადგენენ.

ამავე დროს მრეწველობა და ხელოსნობა სულ უფრო და უფრო ვითარდება და მათ აყვავებასთან ერთათ იზრდება მცხოვრებთა რიცხვი, ერთი შეხედვით ეს პროცესი წინანდებურათ მხოლოდ მეფის სასაჩვებლოა. მას ამის წყალობით შეუძლია მუდამ უმატოს თავის ჯარს და ამნაირათ ბოლოს და ბოლოს მსოფლიო მნიშვნელობა მიიღოს. მარა სამოქალაქო საზოგადოება ასეთი გიგანტაური, კოლოსალური სისწრაფით იზრდება, რომ მეფეს თავის მუდმივი ჯარითაც კი არ ჰეუძლია გაუთანასწორდეს მოქალაქეთა ძალის ზრდას. ამას სავსებით და აშკარათ დაგანახვებთ ბატონებო, შემდეგი ციფრები, რომელსაც აქვე მოვიყვან: 1657 წ. ქ. ბერლინში იყო 20,000 მცხოვრები, დაახლოვენდით იმავე დროს, დიდი კურტფრისტის სიკვდილის შემდეგ, ჯარში ირიცხებოდა 24—30 ათასი კაცი. 1803 წ. ბერლინში იყო უკვე 153,070 მცხოვრები, 1819 წ. ე. ი. 16 წლის შემდეგ გახდა 192,646 მცხოვრები. ამავე წელში ჯარის რიცხვი არ აღემატებოდა 137,639 კაცს. ამ დროს, როგორც გეცოდინებათ, 1814 წ. სექტემბრის კანონის ძალით, რომელიც ახლა უნდათ წაგვართვან, საერობო დარაჯები ჯარში არ ირიცხებოდა. ამნაირათ თქვენ ხედავთ, რომ ჯარი ამ წელს 4-ჯერ მეტი ყოფილა ვინემ დიდი კურტფრის-

ტის დროს, ხოლო ბერლინის მცხოვრებთა რიცხვი
 აშავე დროს განმავლობაში 9-ჯერ მეტი გამხდარა.
 მარა აქედან იწყება კიდევ უფრო ძლიერი განვი-
 თარება. 1846 წ. ბერლინის მცხოვრებთა რიცხვი
 384,308-მდე ე. ი. თითქმის 400, ათასამდე აღი-
 ნდა, — ცნობებს ვიღებ ოფიციალურ წყაროებიდან
 — მაშასალამე 1819 წლიდან გაორკეცებულა, ორ-
 ჯერ მეტი გამხდარა. 26 წლის განმავლობაში ის
 ორჯერ მეტი გახდა, და ახლა კი როგორც გეცო-
 დინებათ 550 ათას სულს უდრის. ჯარში კი
 1846 წ. ირიცხებოდა 138,810 კაცი. მაშასალამე
 მას თითქმის არაფერი მომატებია 1819 წელს აქეთ
 და ამნაირათ არავითარი მონაწილეობა არ მიუღია
 საზოგადოების ასეთ ზრდა განვითარებაში.

ასეთი განვითარების წყალობით სამოქალაქო
 საზოგადოება თანდათან უფრო გრძნობს თავის
 თავს დამოუკიდებელ პოლიტიკურ, ძალათ. მცხო-
 ვრებთა რიცხვის ზრდასთან ერთათ იმავე სისწრაფით
 ვითარდება საზოგადოებრივი სამდიდრეც. მეცნიერე-
 ბა ვითარდება და ძლიერდება, ზნეობრივი შეხედუ-
 ლებები უფრო მაღალი და სპეციაკი ხდება, ყველა
 ეს-კი როგორც წინეთაც გითხარით ნაწილია კონ-
 სტიტუციის. მაშინ მოქალაქენი იწყებენ ამგვარათ
 მსჯელობას: ჩვენ არ გვინდა და არც უნდა ვიყოთ
 უბრალო მასა, ჯარი, უბრალო თიხა, საკუთარ
 ებას და სურვილს მოკლებული, სხვის სამფლობე-
 ლებას და საბატონო საგნათ გადაჭეული. ჩვენ თვი-
 ლონ უნდა ვიყოთ თავის თავის გამგე და პატრინი.

თვითონ მეფეც კი ისე უნდა მართავდეს და განა-
გებდეს ჩვენ საზოვალო საქმეებს, როგორც ჩვენ
გვსურს.

მოკლეთ, ეს ნიშნავს, რომ საზოგადოებრივ
ძალთა რეალური ფაქტური ურთიერთობა ხელა-
ხლა შეიცვალა. ერთი სიტყვით დადგა 1848 წლის
18 მარტი, დღე რევოლიუციის! და აი ამ შემთ-
ხვევაში მოხდა სწორეთ ის, რაც ჩვენ წინეთ, ამწე-
რილის დაწყებისას შეუძლებლათ ჩავთვალეთ. ჩვენ მა-
შინ მაგალითი მოგვყავდა, რომ ვთქვათ ცეცხლის და
სხვა მიზეზით საზოგადოებამ დაჰკარგა ყველა თა-
ვის კანონებითქმ. აი აქ კი ნამდვილათ ისინი და-
ღუპა არა ცეცხლმა, არამედ ქარიშხალმა გრი-
გალმა ქარმა:

ხალხი აღსდგა, გრიგალი დათრიალდა....

ამ ძლევა-მოსილ რევოლიუციის შემდეგ კერძო
პირის უფლება ხელუხლებელი დარჩა, საზოგადოე-
ბრივი უფლება და კანონები კი ძირს ჩამოვარდა
და მხოლოდ დროებითი მნიშვნელობა შერჩათ. ამ
ნაირათ საჭირო შეიქნა ახალი კანონების შემუშავე-
ბა, ახალი წერილობითი კონსტიტუციის შედგენა
და აი მეფე, თითონ იწვევს ბერლინში საერო კრე-
ბას, რომელსაც უნდა შეედგინა, როგორც წინეთ
ამბობდენ ახალი წერილობითი კონსტიტუცია, ანუ,
როგორც მერე გადათქვეს უნდა შეთანხმებულიყო
ამის შესახებ მეფესთან. ახლა უნდა ვიკითხოთ:
რა პირობებია საჭირო, რომ დაწერილი კონსტიტუ-

ცია მტკიცე გამოდგეს და ცხოვრების შესაფერი? აშკარაა ერთა პირობაა საჭირო, და ეს თავისთავათ გამომდინარეობს ზემონათქვამიღან: დაწერილი კონსტიტუცია უმარტიველი იყოს ნამდვილი კონსტიტუციის ე. ი. საბოლოო მართვის ურთიერთობის. თუ დაწერალი კონსტიტუცია არ შეეფერება ნამდვილს, მათ შორის, ყოვლად შეუძლებელია, ორმან ბრძოლა არ დაიწყოს და ამ ბრძოლიდან უეჭველია. წერილობითი კონსტიტუცია, ე. ი. ფარატანა ქალალდი გამოვა დამარცხებული ნამდვილი კონსტიტუციისგან, საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთობისგან. მაშინ როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში? პირველათ ყოვლისა უნდა ვიზრუნოთ არა წერილობითი კონსტიტუციის შედგენაზე, არამედ იმაზე, რამ ნამდვილი კონსტიტუცია შევქმნათ ე. ი. საზოგადოებში არსებულ რეალურ ძალთა ურთიერთობა შევცვალოთ მოქალაქეთა სასარგებლოთ. მართალია 18 მარტი დაგვანახვა, რომ ხალხის ძალა უფრო დიდია დღეს, ვინემ ჯარის. ხანგრძლივი და საშინელი ბრძოლის შემდეგ ბერლინის ქუჩებში, ჯარი იძულებული გახდა უკანდაეწია, მარა წინეთ მე მავაჭცი თქვენი ყურადღება იპაზე, თუ რა განსხვავებაა ჯარის ძალასა და ხალხის ძალას შორის. ჯარის ძალა, თუნდა ის უფრო მცირეციყოს ხალხის ძალაზე, დიდი ხნის მოქმედების შემდეგ მაინც უფრო ნამდვილ ძალათ რჩება და გამარჯვებას პოულობს, ვინემ ხალხის ძალა, რომელიც მაზე ყოველთვის მეტია.

ეს განსხვავება, გეხსომებათ, იმაში მდგომარეობს, რომ ერის ძლია მოუწყობელია, შეუკავშირებელია, ეხლა ჯარის ძალა შეკავშირებულია, დარაზმულია და ყოველდღე მზათაა საბრძოლველათ. მას ყოველთვის შეუძლია ბრძოლა განაახლოს, და ამიტომ დროთა განმავლობაში ყოველთვის იმარჯვებს თავისზე უცრო მეტ, მაგრამ მოუწყობელ ძალაზე, როგორიცაა ხალხის ძალა, რომელიც მხოლოდ საერთო აღელვების წუთებში ერთდება მტკიცეთ, ხოლო ასეთი წუთები კი წლობით არაგრძელდება, ხანგრძლივი არაა.

აი სწორეთ ამიტომ არ მოყვა 18 მარტის გამარჯვებას სასურველი შედეგი, რადგან ამ გამარჯვებით არ ისარგებლეს ჯარის შეკავშირებულ ძალის დასაშლელათ, რომ მას ამნაირათ, აღარ შეძლებდა მეფისათვის დახმარების გაწევა და ხალხის წინააღმდეგ იარაღით დახდომა. საჭირო იყო, მაგ ჯარში სამსახურის ვადის შემცირება, ექვს თვემდე ან და ეს ვადა უპირველეს სამხედრო (ავტორიტეტების) მცოდნე პირების, აზრით სრულიად საკმარისია სამხედრო ცოდნის მისაღებათ, ხოლო მეორე მხირით ის მეტათ მცირეა იმისთვის, რომ ჯარში განსაკუთრებული კასტიური (წოდებრივი ამ შემთხვევაში სალდათური) სულიდაბადოს. ის იმდენათ მცირეა, რომ თხოულობს ჯარის ხშირხშირათ შევსებას ხალხიდან გაყვანილი ახალი ჯარის კაცებით. და ასე მეფის ჯარიდან მას სახალხო მილიციათ აქციევს. ამასთანავე საჭირო იყო, რომ ყველა აფი-

ცრები და სხვა თანამდებობის პირები ჯარში, თვითონ ჯარის კაცებისგან ყოფილიყვენ არჩეული და არა ზევიდან დაყენებული. ასეთ პირობებში ოფიცრების აღგილები არ ჩაუვარდებოდათ ხელში ხალხის მტრებს, რომელთაც უნდათ, რომ ჯარი მეფის ბრძან იარაღათ გამოიყენონ. უნდა დაედგინათ აგრეთვე, რომ ჯარის კაცთა ყოველი დანაშაული, გარდა სპეციალურათ სამხედრო დანაშაულობისა, ჩვეულებრივ, სამოქალაქო სასამართველოში გარჩეულიყო. ასეთ შემთხვევაში ჯარი ნათლათ დაინახავს და ივრძნობს, რომ ის სამოქალაქო საზოგადოების ნაწილია, და არა განსაკუორებული, საზოგადოების გარეშე მდგომი წოდება (კასტა). აგრეთვე ყველა ზარბაზნები, რომელთა დანიშნულებაა ქვეყნის დაცვა გარეშე მტრისაგან და არა თავისივე ხალხის ულეტა, უნდა გადაეცათ შესანახათ ხალხის მიერ არჩეულ ქალაქის თვითმართველობებსითვის, გარდა ისეთების, რომელნც სამხედრო ვარჯიშობისთვის არიან საჭირო ჯარში. ამ არტილერიის ნაწილი უნდა მოხმარებოდა სახალხო მილიციისაგან შემდგარ საირტილიერო რაზმებს, საერო გვარდიას, რომ ამნაირათ ხალხს ხელში ჰქონოდა ზარბაზნები, ეს ფრიდ მნიშვნელოვანი ნაწილი კონსტიტუციისა.

ამ ზომათაგან არც ერთი არ შესრულებულა 1848 წლის გაზაფხულზე და ზაფხულზე, და ამის შემდეგ განა გასაკვირველია, რომ ნოემბერში მარტის რევოლიუცია უკვე არა რაობათ იქცა და არავითარი სასარგებლო შედევრი არ მოიტანა? გასაკვი-

რველი აქ არაფერია. რეაქცია აუცილებლათ უნდა
 დაწყებულიყო, რადგან ძალთა რეალური, ფაქტი-
 ური ურთიერთობა თითქმის შეუცვლელათ დარჩა.

მეფეებს უკეთესა მოსამსახურეები ჰყავს, ვი-
 ნემ ხალხს. მეფის მოსამსახურეები მაღალ-მაღალი
 და ცალიერი სიტყვების რახარუხით არ იქცვენ
 დროს, როგორც ეს ხშირათ სჭირო ხალხის ინტე-
 რესების დამცველთ. ისინი საქმის, (პრაქტიკის)
 ხალხია და ინსტიქტიურათ გრძნობენ, რაშია საქმე.
 ბ. ფონმაინტეფელი ძალიან სუსტი ორატორი იყო,
 მარა ის საქმის კაცი იყო. 1848 წლის ნოემბერში
 როცა მან გაფანტი საერთ კრება და ქუჩაში ზარ-
 ბაზნები გაღმოაყუდა, რას მაყო მან ხელი უპირ-
 ველესათ ყოვლისა? რეაქციონურ კონსტიტუციის
 ჯლაბნას? დიახაც არა! მან კარგათ იცოდა, რომ
 მის დაწერას ყოველთვის მოესწრებოდა. ქრისტე-
 შობისთვეში მან თვითონ გამოსცა საკმაოთ თავის-
 უფალი (ლიბერალური) ხასიათის კონსტიტუცია.
 მაშ რათ დაიწყო მან ნოემბერში თავის მოქმედება?
 რა იყო მისი პირველი ზომა? თქვენ კარგათ იცით,
 რომ მან უპირველესათ ყოვლისა იარაღი აჰყარა
 ხალხს.

წერილის დასაწყისში ჩვენ ძალიან დიდ ხანს
 შევჩერდით იმის გამოსარკვევათ, თუ რას შეიცავს
 ცნება-კონსტიტუცია. შეიძლება ბევრს მოეჩვენა,
 რომ ამაზე სიტყვის ასე გაგრძელება საჭირო არ
 იყო, მარა ახლა თქვენ ხელავთ, რომ რაკი ერთ-
 ხელვე ეს ცნება გამოვარკვიეთ, ჩვენ თვილ წინ

გადიშალა განსაცვიფრებელი დასკვნები და ახლა
 ჩვენ უფრო ლრმათ და ნათლათ ვიცით ეს საკით-
 ხი, ვინემ წინეთ. გარდა ამისა, ჩვენ ბევრი ისეთი
 დასკვნები მივიღეთ, რომელნიც უმთავრესათ სრუ-
 ლიად ეწინააღმდეგება საზოგადოებაში ჰეშმარი-
 ტებათ მიჩნეულ აზრებს და შეხედულებებს. გან-
 ვიხილოთ კიდევ რამდენიმე დასკვნები, რომელნიც
 აქედან გამომდინარეობენ.

მე ახლა აღვნიშნე, რომ 1848 წელს არც
 ერთი აუცილებლათ საჭირო ზომები არ იყო მიღე-
 ბული, არსებულ, ფაქტიურ ძალთა ურთიერთობის
 შესაცვლელათ და ჯარის მეფის ლრმა იარაღიდან
 სახალხო მილიციათ გადასაჭმნელათ. იყო მხოლოდ
 ერთი წინადაღება ამ მიზნისკენ მიმართული, ასე
 ვთქვათ, პირველი ნაბიჯი ამ გზაზე. ეს იყო შტე-
 ინის წინადაღება, ვაიძულოთ სამინისტრო ბრძა-
 ნება გამოსცეს, რომ რეაქციონური აფიცირები-
 განიღენოს ჯარიდინო. მარა თქვენ გეხსოვე-
 ბათ, რომ, როგორც კი მიიღო ეს წინადაღება
 საერო კრებამ, მთელი ბურუუაზია და ნახევარი
 საზოგადოება აყვირდა: საერო კრება უნდა
 კონსტიტუციას ქმნიდეს და არა მინისტრებს
 ედავებოდესო. ის არ უნდა ხარჯავდეს ძვირფას
 ღროს ასეთ ძალდატანებაზე, არ უნდა ერეოდეს
 ამასრულებელ ძალის საქმეებში. სწერეთ კონსტი-
 ტუცია, თქვენი საქმე მხოლოდ კონსტიტუციის
 შემუშავებაა, ყვიროდენ ისინი, თითქმ ქვეყანას
 ცეცხლი წაკიდებოდეს.

აქედან თქვენ ხედავთ, რომ მთელ ბურზუაზიას, საზოგადოების ნახევარს, არავითარი წარმოდგენა არ ქონია კონსტიტუციაზე.

კონსტიტუციის შეთხზვა ყველაზე ადვილი და უმნიშვნელო საქმეა. ამის მოსწრება შეიძლება თუ საჭირო იქნა, სამი დღის განმავლობაში, ეს სულ უკანასკნელი საქმეა, რომელზედაც უნდა ფიქრობდე მაშინ. წინდაწინვე მისი წერა ტყუილ უბრალოთ დროს დაკარგვაა. ნამდვილ, რეალურ ძალთა განწყობილების შეცვლა, ამასრულებელ ძალის საქმეებში ჩარევა, ასეთნაირი ჩარევა, და ისეთნაირათ მისი გადაქმნა, რომ მას ყოველი საშვალება მოსპობოდა ხალხის წინააღმდეგ მოქმედების, აი რა იყო გასაკეთებელი, აი რაზე უნდა ეზრუნათ უპირველესათ ყოვლისა წერილობით კონსტიტუციის გასამაგრებლათ.

რადგან საერო კრება ძალიან აღრე შეუდგა წერილობითი კონსტიტუციის შედგენას, მას მისი დათავებაც არ დააცალეს და ამასრულებელმა ძალამ დაშალა ის ზარბაზნების შემწეობით. მეორე დასკვნა: ვთქვათ, საერო კრება არ დაშალეს და მან მოასწრო კონსტიტუციის შედგენა და დამტკიცება. მერე შეცვლის ეს განა არსებითად საქმის ნამდვილ მსვლელობას? სრულიადაც არა. ამას თვით ფაქტებიც ამტკიცებენ. რუმცა საერო კრება დაშლილი იყო, მარა მეფემ მისგან დატოვებულ საბუთებიდან თვითონ შეთხზა და 1848 წლის 5 დეკემბერს გამოაქვეყნა კიდევ თავის კონსტიტუ-

ცია, რომელიც უმთავრეს მუხლებში სავსეპით
ეთანხმებოდა იმას, რის მოცემა შეეძლო საერო
კრებას. ეს კონსტიტუცია, ამნაირათ, არავის არ
მოღწვევია ძალათ თავზე მეფისთვის. ის გამოს-
ცა თვითონ მან, თავის ნებით მას შემდეგ, როცა
გამარჯვება მოიპოვა. მით უფრო მოსალოდნელი
იყო, რომ ის იქნებოდა მტკიცე და შეურყეველი.
მარა არა, მკითხველო, არ იყო მოსალოდნე-
ლი. თქვენს ბალში რომ ვაშლის ხე იღვეს და
ზედ ფიცარი გააკრან ასეთი წარწერით: „ეს არის
ატამიო“. განა ამით ვაშლის ხე ატამათ გადაიქცე-
ვა? სრულიადაც არა, და ყველა თქვენმა შინაუ-
რებმა, მთელმა იმ კუთხის მცხოვრებლებმაც რომ
მოიყაროთ თავი და ხმა მაღლა დიდის ამბით დაი-
ფიცოთ და იყვიროთ: „ეს არის ატამი და არა ვაშ-
ლიო“ ხე მაინც ის დარჩება, რაც არის და მეორე
წელიწადს სიმართლე გამოაშკარავდება, როცა ხე
ატმის მაგიერ ვაშლებს მოისხამს. ასეა კონსტიტუ-
ციაც. სულ ერთია, რაც უნდა დასწერო ქალალდ-
ზე, თუ დაწერილი ეწინააღმდეგება. საჭმის ნამ-
დვილ მდგომარეობას, ძალთა რეალურ ურთიერთ-
ობას. 1848 წლის 5 დეკემბერს მეფემ ქალალდზე
ბევრი რამ დაუთმო ხალხს. გარა ყველა ეს ეწინა-
აღმდეგებოდა ნამდვილ კონსტიტუციას, ძალთა
რეალურ ურთიერთობას. ეს ძალები კი მეფემ უკ-
ლებლათ დატოვა თავის ხელში. ამიტომ ნამდვილ
კონსტიტუციას თანდათან გზა უნდა გაეკატა წერი-
ლობით კონსტიტუციაში ისეთივე აუცილობლობით,

როგორც მიმზიდველობის კანონის მოქმედობას.

ამნაირათ თუმცა 1848 წლის 5 დეკემბრის კონსტიტუცია მიღებულ იქნა სარევიზო კრებისაგან, მარა მეფეს მაინც უნდა შეეტანა შიგ პირველი ცვლილება და აი 1849 წელს მან უბოძა ხალხს სამკლასიანი საარჩევნო კანონი, რომელიც ზევით დავახასიათეთ. შემდეგ ასეთი საარჩევნო კანონით წარმოშობილი პალატების შემწეობით მან არსებითად: შეცვალა და დაამახინჯა კონსტიტუცია, სანამ 1850 წელს უკანასკნელათ შეფიცებდა მას. მარა შეფიცა თუ არა კონსტიტუციას, სწორეთ მაშინ დაიწყო მისი ნამდვილი შეკერ-შემოკერვა. 1850 წლიდან არ გასულა ისეთი წელიწადი, რომ კონსტიტუცია ერთხელ მაინც არ შეეკეთებიათ ე. ი. არ დაემახინჯებიოსთ. ათას ბრძოლაში გამოვლილი ბაირალი არ იქნება ისე დაფლეთალი და დახვრეტალი, როგორც პრუსიის კონსტიტუცია.

მესამე დასკვნა: თქვენ იყით, რომ ჩვენ ქალაქში არის პარტია, რომელსაც აქვს თავის ორგანო „სახალხო გაზეთი“. ეს პარტია გულის ფანცეკალით ებლაუჭება ამ ბაირალის ნაფლეთებს, ამ დამახინჯებულ კონსტიტუციას, და აი ამიტომ თავის თავს „კონსტიტუციის შეურყეველ მომხრეს“. უწოდეს და თავისს საბრძოლველ დევიზათ აქვს. „მაგრათ ჩავჭილოთ ხელი კონსტიტუციას, ლვთის გულისთვის კონსტიტუცია! ყარაული! გვიშველეთ ცეცხლი კერა იწვის!“

რომელ პარტიასაც უნდა ხედავდეთ, სადაც


და როდესაც უნდა იყოს, თუ ის ბრძოლის ყიფინის მაგიერ გულამლვრეული შესტირის ხეს და მიწას, „ხელი არ შეუშვათ კონსტიტუციასო“ რა დასკვნას გამოიყვანთ აქედან? მე მიუმართავ ამ საკითხით არ თქვენ მისწრაფებებს და სურვილებს, არამედ თქვენ ჯონებას და გეპათხებით: „რა დასკვნას გამოიყვანთ აქედან?“

წინასწარმეტყველება არაა საჭირო, რომ ამის მნახველმა სრული დარწმუნებით სთქვას „ასეთ კონსტიტუციას სული კბილით უჭირავსო“ ის თითქმის უსულო გვამათ არის გადაქცეული. კიდევ რამდენიმე წელიწადი და მისი მხოლოდ მოგონება და დარჩება ამ ქვეყნათ. ამის მიზეზი აშკარაა: როცა წერილობითი კონსტიტუცია სავსებით შეეფერება არსებულ ფაქტიურ ძალთა ურთიერთობას, ასეთი ჩივილი არც ისმის. ასეთ კონსტიტუციას ვერავინ შებედავს, ვერავინ შეეხება. არავის არ მოუვა თავში ფიქრათ, რომ მას შეებრძოლოს, და თუ ვინმე გაბედავს, ხეირი არ დაეყრება. საღაც წერილობითი კონსტიტუცია სავსებით ეთანაბება ძალთა რეალურ, ფაქტიურ ურთიერთობას, იქ ასეთი მოვლენა შეუძლებელია, იქ არც ერთი ჰარტია არ წამოაყენებს ბრძოლის ლოზუნგათ: „უშველეთ კონსტიტუციასო“. საღაც ასეთი ხმა ისმის ეს ნამდვილი და უტყუარი ნიშანია იმისა, რომ წერილობით კონსტიტუციაში არის რაღაც ისეთი, რაც ეწინააღმდეგება ნამდვილ კონსტიტუციას, ძალთა რეალურ ურთიერთობას. და საღაც

ასეთი წინააღმდეგობა არსებობს, იქ წერილობითი
 კონსტიტუციის საქმე წასულია ხელიდან, არც
 ლმერთს და არც კაცს არ შეუძლია მისი გადარჩე-
 ნა. ის უეჭველათ უნდა შეიცვალოს რომელიმე
 მხრივ, ან მარცხნით ან მარჯვნით, უცვლელათ კი
 ვერ დარჩება. უველა პკვათა მყოფელი კაცისთვის
 თვით წუწუნი მის შენახვაზე საკმარისი საბუთია
 ამისი. ის შეიძლება შეიცვალოს მარჯვნივ, თუ
 ცვლილება შეიქმნა მთავრობის, რომ შეუფარდოს
 წერილობითი კონსტიტუცია შეკავშირებულ ძალით
 ფაქტიურ პირობებს. ან და გამოვა შეუკავშირებე-
 ლი საზოგადოებრივი ძალა და ხელ ახლა დაამტ-
 კიცებს თავის გამარჯვებას შეკავშირებულ ძალაზე
 ჯარზე, მაშინ კონსტიტუცია გაუქმდება და შეიც-
 ვლება მარცხნივ, ისე როგორც პირველ შემთხვე-
 ვაში შეიცვალა მარჯვნივ. მარა თრივე შემთხვევა-
 ში წინანდელი კონსტიტუცია გაუქმდებული იქნება.

თუ თქვენ კარგათ დაიხსოვებთ და ჩაუკვირ-
 დებით ზემოქმულს და გამოიყვანთ იქიდან უველა
 დასკვნებს, რომელნიც მისგან ლოლიკურათ გამომ-
 დინარეობენ, ამით თქვენ შეიძენთ მთელ საკონ-
 სტიტუციო ხელოვნებას, და საკონსტიტუციო სი-
 ბრძნეს. კონსტიტუციის საკითხი არის უპირველისათ
 ბოლოისა საკითხს ძალის და არა უფლიშის. ნამდვი-
 ლი კონსტიტუცია მდგრადრეობის საპოვნეობაში არსე-
 ბის ძალთა რეალურ, ფაქტურ ურთიერთობაში.
 წერილობით კონსტიტუციას მხოლოდ მაშინ ადვს ძალა
 და მნიშვნელობა, როცა ის სისწორით გამოჩაფავა

რეალურ ძალთა ურთიერთობას საბოგადოებაში:
 აი პრინციპები, რომელიც საკიროა შეიგნონ და
 გაიზეპირონ. ამნაირათ მე ავხსენი და გავარკვიე
 მხოლოდ ერთი მხარე ამ საკითხს, სამხედრო ძა-
 ლის საკითხი. მიზეზი ისაა რომ უპირველესათ ყოვლი-
 სა დრო ნებას არ მაძლევს სხვა მხრითაც შევეხო
 ამ საკითხს, მეორე მხრით ყველა შეკავშირებულ
 ძალებში ყველაზე მნიშვნელოვანი და გაღამწყვეტი
 მნიშვნელობა ჯარსა აქვს. თქვენ თვითონ მიხვდე-
 ბით, რომ ესევე ითქმის სასამართლოს, ჩინოვნი-
 კების, აღმინისტრაციის და სხვა ორგანიზაციების
 შესახებ, ყველა ესენი საზოგადოების შეკავშირე-
 ბულ ძალას წარმოადგენენ. მაშ არ დაივიწყოთ
 ხახვასმული სიტყვები და როცა თქვენ დაგჭირ-
 დეთ თავის თავისთვის კონსტიტუციის შექმნა,
 კარგათ გაიხსენეთ, როგორ უნდა იმოქმედოთ. არ
 დაივიწყოთ, რომ საჭმელ კუთხიერა არა ძალალურების
 აქტუალურით, არამედ თანამდებობრივ ძალთა ურთიერთო-
 ბის შესახვათ.



ჩვენს გაღაზიაში იყიდება

შემდეგი ქართული სამცნოებო წიგნები:

ბ. ტისანდე. მეცნიერების. წამებულნი	.	1	„
ვალავოზოვი. ინგლისელები, გერმანელები, და იტალიელები, თითო	„	30	
ბიკოვი. ამბები ინგლისის ისტორიიდან	.	„	50
კ. ქაუცკი. ისტორიულ-ეკონ. ნარკვევი	.	„	20
ივ. გომართელი. შილლერის პოეზ. თვისებ.	„	20	
გ. ქოვალევსკი. ოჯახის და საკუთრების წარ- მოშობა განვითარება.	.	„	20
პოლ. ლაფარგი. მანქანის მნიშვნელობა	.	„	10
მასსე. ლუკმა პურის ამბავი	.	„	60
ი. ბელოკონსკი. ერობა და თვით მართვ.	.	„	10
კარლ მარქსი. ვაჭრობის თავისუფლება	.	„	10
ლუნკევიჩი. მწვანე სამეცო	.	„	20
შიუუევი. მოწინავე დემოკრატია	.	„	60
ავგ. შლეიხერი. ლარვინის თეორია	.	„	20
ალ. მირიანაშვილი. ფიზიკა	.	„	15
გ. სტატკოვსკი. მიკროსკოპ. ორგანიზმი	.	„	20
რუბაკინი. ბუნების საოცარი მოვლენანი	.	„	15
ალ. წულუკიძე. ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიკიდან	.	„	50
მანტეგაცა. შრომა და ბეჭნიერება	.	„	30
ბებელი. დედაკაცი თარგ. ლომთათიძისა	.	„	6
შიპპელი. მუშათა პროფესიონალური კავშირები,,	„	12	
დიკშილეინი. ლუკმა პურის ამბავი	.	„	6
როგორ იბრძოდენ გლეხები სცენისაში	.	„	13
წერილები ძმასთან თარგ... მხანაგისა	.	„	10

ლა სახურავ წერილი და გამოსახული

ცენტრალური ბიბლიოთეკი

კულტურული მემკვიდრეობის
გიგანტური ბიბლიოთეკა



K 342/2